საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

განცხადება

ბატონო ლევან,

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, დამატებით წარმოგიდგენთ დაზუსტებულ სკრინინგის განცხადებას რედაქციულ ხარვეზთან დაკავშირებით და გაცნობებთ, რომ შპს „ენერჯი" საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში იუმაშევის ქუჩა N13; ნაკვეთის საკადატრო კოდი N 01.19.15.002.001

ასევე გაცნობებთ, რომ საწარმოში დაგეგმილია ტექნიკური გადაიარაღება რაც საწარმოს წარმადობის ზრდას ემსახურება, კერძოდ: 1) ტერიტორიაზე განთავსებულ 1000მ^3 მოცულობის ორი ერთეული რეზერვუარის ტექნიკური პარამეტრების ცვლილება განხორციელდა, კერძოდ : გაიზარდა მოცულობები და თითოეული რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 2000მ^3. 2) ადგილზე არსებული 2 ერთეული ჰორიზონტალური და ერთი ვერტიკალური საწვავის რეზერვუარი (54მ^3; 59მ^3; 190მ^3) მოემსახურება წყლის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემას. 3) საწარმოს წარმადობა იზრდება რაც დიზელის შემთხვევაში შეადგენს 68 ათას ტონას წელიწადში და ბენზინის შემთხვევაში 62,05 ათას ტონას წელიწადში. 4) რეზერვუარების ჯამური მოცულობა ნებართვით შეადგენდა 4293მ^3 და გადაიარაღების შემდგომ შეადგენს- 7000მ^3. 5) დიზელის საწვავს მოემსახურება 2000მ^3+100მ^3+500მ^3 მოცულობის რეზერვუარები, ბენზინის საწვავს მოემსახურება 2000მ^3+100მ^3+500მ^3 მოცულობის რეზერვუარები. ამრიგად საწარმოში განთავსებული იქნება 2 ერთეული 2000მ^3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 14714
19 " 11 2018
2/3 ფ.
+ 02 +

მოცულობის (ძველი 2 ერთეული 1000m^3 ნაცვლად) არსებული 1000m^3, რომელსაც დაემატება ერთი ახალი 1000m^3 მოცულობის რეზერვუარი და ახალი ორი ერთეული 500m^3 მოცულობის რეზერვუარი. ასევე გაცნობებთ რომ საწარმოში დაგეგმილია აირმათანაბრებელი სისტემის საკუპრიაციო სისტემასთან კომპლექსში მუშაობა რაც მართალია მთლიანად ცვლის ტექნოლოგიურ პროცესს, მაგრამ უზრუნველყოფს დანაკარგების მინიმალიზაციას რაც დადებითად აისახება გარემოზე და ადამიანის ჯამრთელობაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დანართი 3 ფურცელი

პატივისცემით,

შპს „გუკა„

დირექტორი: გენადი უბირია

შპს „ენერჯი“-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი

ხელშეკრულება № 18/07-09

ქ. თბილისი 9 ივლისი 2018წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენერჯი" მისი დირექტორის კახა ჯანხოთელის სახით, ერთი მხრივ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გუკა", მისი დირექტორის გენადი უბირიას სახით მეორე მხრივ, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ) დოკუმენტთა პაკეტის შემუშავება:
---გზშ-ს ანგარიში;
--- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
---ტექნიკური რეზიუმე;
---არატექნიკური რეზიუმე;

1.1.1 ობიექტის დასახელება: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენერჯი"-ს ბენზინის და დიზელის საწვავის საცავის მისამართი: ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №13.

1.2 "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას კვალიფიციურად გაუწიოს "დამკვეთს" მომსახურება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო) ნებართვის აღების, რეგისტრაციის და თვითმონიტორინგის ეტაპებზე.

1.3 "დამკვეთი" იღებს ვალდებულებას შეუქმნას "შემსრულებელს" სამუშაო პირობები სამუშაოებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების ეტაპზე.

1.4. "დამკვეთი" მხარე აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვით საკონსულტაციო საქმიანობაში გენადი უბირია (პ/ნ 19001005742) არის ნდობით აღჭურვილი პირი

2. სამუშაოს ღირებულება

2.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს 5000.0 (ხუთიათასი) ლარს.

3. ანაზღაურება

3.1. "დამკვეთი" გადაუხდის "შემსრულებელს" შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 20% ავანსის სახით. დამკვეთი დარჩენილ თანხას გადაუხდის შემსრულებელს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების ვადა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (გზშ) შედგენისათვის სამუშაოების შესრულების (გზშ-ს პროექტის წინასწარი განხილვისათვის გარემოს დაცვის სამინისტროში წარდგენა,

4.1. საბოლოო ვარიანტის სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა საჯარო განხილვისა და შემდგომი სხვა საჭირო პროცედურების ჩათვლით) ვადად განისაზღვრება ერთი წელი ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

4.2. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობის გამო "შემსრულებელს" დაეკისრება საურავი დანართში აღნიშნული სამუშაოს მთლიანი ღირებულობის 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. დამკვეთის უფლებები და მოვალეობები

5.1. "დამკვეთი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსრულებელს სამუშაოს შესრულება დადგენილი ვადებისა და პირობების მიხედვით.

5.2. "დამკვეთი" უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულებული სამუშაო თუკი ის არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების პირობებს.

5.3. "დამკვეთი" ვალდებულია დროულად გადაიხადოს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ამ ხელშეკრულების 2.1 და 3.1-3.2. პუნქტების შესაბამისად.

5.4. "დამკვეთი" შესრულებულ სამუშაოს მიიღებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება შემსრულებლის მიერ.

5.5. თუკი აღმოჩნდება, რომ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი არ შეესაბამება შემკვეთის მოთხოვნებს ან უხარისხოა, "შემსრულებელი" ვალდებულია თავისი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლოვანება

6. შემსრულებლის უფლებები და მოვალეობები

6.1. "შემსრულებელი" ვალდებულია ხარისხიანად და დროულად შეასრულოს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში გათვალისწინებული სამუშაო.

6.2. "შემსრულებელი" ვალდებულია კვალიფიციურად გაუწიოს "დამკვეთს" მომსახურება სამინისტროში ნებართვის აღების პერიოდის ჩათვლით.

6.3. "შემსრულებელი" უფლებამოსილია საწარმოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობების საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროსთან მიმოწერის წარმოების, ნორმატიული და მეთოდური დასაბუთებით დოკუმენტთა პაკეტში ცვლილებების მიღებაზე.

7. ფორს მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებების გამო.

7.2. ფორს-მაჟორულ გარემოებათა გამო ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს ატყობინებს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში და აცნობებს მას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების სავარაუდო ვადას. შესაბამისად, მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების განმავლობაში.

7.3. ფორს-მაჟორულ გარემოებებად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა), ხანძარი, საომარი მოქმედებანი, ტერორისტული თუ დივერსიული აქტები, სახელმწიფოს მიერ გამოცემული ისეთი სავალდებულო ძალის მქონე აქტი, რაც არსებითად აფერხებს ამ ხელშეკრულების შესრულებას.

7.4. თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება 14 (თოთხმეტ) დღეზე მეტს, ამ ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გზით

8. დამატებითი დებულებები

8.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა მოლაპარაკებით, ხოლო მოლაპარაკებით დავის გადაუწყვეტლობის შემთხვევაში მისი დარეგულირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით.

8.3. ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეთა შორის გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მათ იურიდიულ მისამართებზე. იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან შეატყობინონ ამის შესახებ ამგვარი შეცვლიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

8.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ. მხარეებს შეუძლიათ ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მეორე მხარესთან წერილობითი შეტყობინების გზით.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო გადაეცათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი:
შპს "გუკა"
თბილისი, აბო-თბილელის ქ. 12.
ს/კოდი- 211330157
სს საქართველოს ბანკი
ა/ა № GE44BG0000000121318500

დამქირავებელი:
შ.პ.ს. "ენერჯი"
თბილისი, კოსტავას ქუჩა
ს/კ 405221521

მხარეთა ხელმოწერები

შემსრულებელი:
---------------- გ. [illegible]

დამქირავებელი:
---------------- ვ. ჯანხოთელი